

გიორგი პრავენებვილი (საქართველო)

ଲ୍ୟାଙ୍ଗରି ମହିନେରେ ଯେତେବେଳେ

ლაზეთი უძველესი ისტორიის მქონე მხარეა. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI-1 საუკუნებში ის იყო კოლხეთის სამეფოს ნაწილი. ახალი წელთაღრიცხვის I-V საუკუნებში ლაზეთი იხსენიება ლაზიკის სამეფოს სახელწოდებით. VI საუკუნიდან ლაზეთი ბიზანტიის შემადგენლობაში შედის. X საუკუნიდან, საქართველოს ცალკეული სამეფო სამთავროების ერთიან სამეფოდ ფორმირების უამს, ლაზეთის მცირე ნაწილი (დღევანდელი ხოფისა და ბორჩხის რაიონები) საქართველოს შემადგენლობაშია, დანარჩენი ლაზეთი კი — 1204 წლამდე ბიზანტიის შემადგენლობაში რჩება. 1204 წელს საქართველოს მეფეთ-მეფე თამარი ქმნის ტრაპიზონის იმპერიას და მის ნათესავს ალექსეი კომნენოსს აძლევს სამეფო ტახტს (ჯავახიშვილი, 1983: 246)¹.

ტრაპიზონის იმპერიამ ორსაუკუნენახევარი იარსება და 1461 წელს ოსმალეთის სულთანმა მეჰმეთ მეორემ დაიყვრო. ამ პერიოდიდან იწყება ლაზების თანდათანობითი გამუსულმანება. ტრაპიზონში მცხოვრები ლაზების ნანილს მიაღებინენ ბერძნული ეროვნება და ინოდებოდნენ პონტოელ ბერძნებად. ლაზთა ნანილი გამუსულმანების თავიდან ასაცილებლად გასომზდა, თუმცა დროთა განმავლობაში მაინც გამუსულმანდა და ჰემშინები ეწოდა. მიუხედავად ამისა შემიძლია ვთქვა რომ პონტოელების და ჰემშინების არამარტო სიმღერა და ცეკვა, არამედ ტანსაცმელიც კი ლაზურია (ბანაში, 1988; ბანაში, 2015ა). გასათვალისწინებელია რომ თურქეთის მუსულმანი ქართველები ხშირად სომებს ქრისტიანის სინონიმით იყენებენ. მათთვის სომხობა რწმუნაა და არა ეროვნება (ჩოხაძე, 2015).

1877-1921 წლებში ლაზეთის ნანილი შედიოდა ჯერ მეფის რუსეთის, შემდგომ კი — დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში. მეფის რუსეთის ბატონობის დროს, 1877-78 და 1915-17 წლებში ლაზები არაერთხელ იქნენ დარბეული და ოსმალეთის შუაგულში რელიგიურ ნიადაგზე გადასახლებულნი. 1921 წელს კი ისტორიული ლაზეთი კვლავ თურქეთს გადაეცა. საქართველოში მხოლოდ სოფელი სარფი დარჩა, რომელიც 1926 წელს შუაზე გაიყო.

1880-1940-იან წლებში აფხაზეთში, კერძოდ ოჩამჩირის, სოხუმისა და გულრიფიშის რაიონის არაერთ სოფელში ლაზები ბინადრობდნენ, რომელიც ისტორიული ლაზეთიდან იყვნენ ჩამოსახლებული. სამნუხაროდ, 1949 და 1951 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მითი დიდი ნაწილი ციმბირსა და ყაზბეგთში გაასახლა

პონტოელ ბერძნებთან სოლოდ შესასრულებელ სიმღერებში ფარული მრავალხმი-ანიობა² საკმაოდ ხშირია. მეტიც, გუდასტვირზე, რომელსაც „ცაბოუნას“ (*Tsabouna/Tsamponia*) უწოდებენ, ლაზური მრავალხმიანიობა უდერს (ვიდეომაგ. 1-2; აუდიომაგ. 1-2). აქედან გამომდინარე, ვემსრობი პონტოელების ლაზურ ნარმომავლობას. საკუთრივ ბერძნული და, ზოგადად, ევროპული გუდასტვირები (*Gayda/Gaida/Cornemuse*) ძალიან გასხვავდება ლაზურისგან, მათ შორის, პონტოს ბერძნულისგანც. გაიდასა და კორნემუსა, ლაზური გუდასტვირებისგან განსხვავებით, დიდი საბანე ლულა გააჩინა, რომელიც ძირითად ტონს აორმავებს ორი ოქტავით ქვევით (ვიდეომაგ. 3-4).

¹ ასევე, იხ. წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Empire_of_Trebizond.

² ამ მოვლენას ქვემოთ შევიხები.

თუ კი პონტოს ბერძნების დიდი ნაწილი 1923 წლიდან საპერძნეოში ცხოვრობს, ჰემშინები დღემდე ლაზეთის ტერიტორიაზე სახლობენ. ამ პირობებში სრულად ცხადია, რომ ჰემშინთა სიმღერების მელოდიებიც და გუდასტვირიც ლაზურია (ვიდეომაგ. 5; აუდიომაგ. 3). ეს მაშინ, როდესაც წმინდა სომხური სიმღერები და განსაკუთრებით სომხური გუდასტვირი *Parkapzuk* მკვეთრად განსხვადება ლაზურისგან (ვიდეომაგ. 6; აუდიომაგ. 4).

ლაზურ გუდასტვირზე რომ ქართული მრავალხმიანობა უღერს, ამაში გვარწმუნებს მისი შედარება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ დასაკრავებთან (ვიდეო-მაგ. 7-9; აუდიომაგ. 5-9; სანოტო მაგ. 1-4). სხვათა შორის, გუდასტვირის ტანს „გუდას“ უწოდებენ არამარტო ლაზეთში, არამედ საქართველოს სხვა მხარეებშიც, კერძოდ, ქართლში, რაჭაში, აჭარაში, ტაოსა და შავშეთში. სალამურების ჩასადებს კი „ნავი“, ასევე, ჰეჭია ტაოში, კლარჯეთში, შავშეთსა და აჭარაში. მართალია, საქართველოს სხვადასხვა კუთხის გუდასტვირებს შორის მცირეოდენი სხვაობა არის როგორც საკრავის აღნაგობა-ში, ისე დასაკრავებშიც, თუმცა ეს ლაზურ გუდასტვირს ქართულისგან არ განასხვავებს, მაშინ როდესაც, სომხური და ევროპული გუდასტვირები ქართულისგან, მათ შორის, ლაზურისგან, საკრავ განსხვავდება. თვლების რაოდენობა საქართველოს სხვადასხვა კუთხის გუდასტვირზე, შემდეგნაირია: შავშურ ჭიბონზე 1/5 ან 3/5, ტაოურ ტიკზე 3/5, აჭარულ ჭიბონზე 3/5, ქართლურ და რაჭულ გუდასტვირზე 3/6, ფშაურ სტვირზე 1/5, ლაზურ და მესხურ გუდაზე კი 5/5. მაშასადამე, გუდასტვირზე თვლების ორივე მხარეს თანაბარი რაოდენობა ქართული ტრადიციისათვის დამახასიათებელი არ არის, მით უფრო, რომ პონტოური, ანუ ძველი ლაზური ცაბოუნაც 1/5 ან 3/5 თვლიანია. თვლების ტოლი რაოდენობა კი ხელს უწყობს ჰანგის გაერთხმიანებას, რადგან ასეთ შემთხვევაში დამკვრელს ორხმიანობის მუდმივად შენარჩუნებისთვის, დიდი ფიზიკური ძალისხმევა სჭირდება. მართალია ლაზური „გუდა“ ორხმიანია, თუმცა მასზე ერთხმიანობა გაბატონებული, ორხმიანობა კი წყვეტილი ფორმით გვხვდება.

რაც შეეხება ქამანჩას, გუდასტვირისგან განსხვავებით, ქამანჩის მხოლოდ ზოგიერთი ნაწილის სახელია ლაზური. ეს საკრავი საქართველოს არც ერთ კუთხეში არ გვხვდება და არც მისი ჰარმონიული ენაა ქართული მუსიკისთვის მშობლიური (ვიდეომაგ. 10) და ეს მაშინ, როცა ლაზური საგუდასტვირე ჰანგებისთვის დამახასიათებელი კადანსები, ასევე, გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეების, მათ შორის, სამეგრელოსა და სვანეთის სიმღერებსა და დასაკრავები (აუდიომაგ. 10; სანოტო მაგ. 5).

ლაზური მუსიკის ქართული ფესვები, ასევე, ვლინდება მისი სიმღერების მელოდიების შედარებისას საქართველოს სხვა კუთხეების სიმღერათა მელოდიებთან (აუდიომაგ. 11; სანოტო მაგ. 6-7) და ფარულ მრავალხმიანობაშიც. ფარული მრავალხმიანობა მიიღწევა როგორც კილოს დაბალი მეტვიდე საფეხურის აღებითა და აქცენტირებით (აუდიომაგ. 12-14; სანოტო მაგ. 8), ისე სიმღერის თითოეული კუპლეტის დასაწყისში აღმავალი ნახტომური სვლით (აუდიომაგ. 15-16; №9). ორივე შემთხვევაში ჩნდება შთაბეჭდილება, რომ თითქოს მთქმელი მონაცემებით ორ ხმას მღერის. ზოგჯერ საქმე გვაქვს ფარული მრავალხმიანობის ორივე ნიშნის ერთობლიობასთან და ამ დროს მრავალხმიანობის შეგრძნება კიდევ უფრო მძაფრდება (აუდიომაგ. 17-18).

რა თქმა უნდა, ლაზურ მუსიკაში იგრძნობა მუსლიმანური სიმღერის გავლენის კვალიც, პირველ რიგში, — სასიმღერო ერთხმიანობასა და იმგვარი მელიზმატიკის სიხშირეში, რომელიც ქართულ არ ახასიათებს. გარდა ამისა, ქამანჩის მაგალითზე სამომავლოდ შესაძლოა ბერძნულ გავლენაზეც კი ვისაუბროთ, თუმცა საქართველოს ისტორიისა და ლაზურ მუსიკაში არსებული არაერთი ქართული შრის გათვალისწინებით, მედა, ზოგადად, ქართველ ეთნომუსიკოლოგებს ლაზური მაინც ქართულ მუსიკის ნაწილად მიგვაჩინია.

მაშინ, როდესაც 1990-იან წლებამდე თურქეთში არათუ ლაზური ღონისძიებები, არამედ სკოლებში ლაპარაკიც კი აკრძალული იყო, საქართველოში, არაერთი რამ კეთდებოდა, კერძოდ: 1) ლაზური ცეკვები დადგა არაერთმა ქართველმა ქორეოგრაფმა; 2) 1954 წელს სარფში ჩამოყალბებული ანსამბლი „ლაზეთი“ ხშირად ასრულებდა ლაზურ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, 1970-იანი წლების ბოლოს კი საესტრადო ნიმუშებსაც (სუდიომაგ. 19-20). ანსამბლი მონაწილეობას იღებდა ოლიმპიადებზე და 1981 და 1987 წლებში გაიმარჯვა კიდეც; 3) ამავე პერიოდიდან სარფში იმართებოდა ლაზური დღესასწაულები „კოლხობა“ და „ქვაომხაზობა“. ამგვარად ლაზური ესტრადა პირველად საქართველოშია გაჩენილი. გასათვალისწინებულია ისიც, რომ ეს ყველაფერი მკვლევრებისა და სარფელების ხელით ხორციელდებოდა და არა ვინმე გარედან მოსულის (თუნდაც, მთავრობის) კარანაბით.

ლაზური მუსიკის ქართულ ფესვებს ნანილობრივ ჯერ კიდევ მეშვიდე სიმპოზიუმზე შევეხე. ამ მოხსენებაში გაფართოებული და დამატებულია მთელი რიგი საკითხები და შეცვლილია აუდიო ნიმუშები. ასე რომ მსურველებს შეგიძლიათ თავისუფლად გამოიყენოთ მეშვიდე სიმპოზიუმის მოხსენებაში გამოყენებული აუდიო ჩანაწერებიც.

აუდიომაგალითები

1. პონტოს ბერძნული დასაკრავი „ცაბოუნაზე“. ჩანერილია 1930 წელს ოქტავე (მელფო) მერლიერის მიერ. კომპაქტდისკიდან „Pontus Şarkları. 1930 Ses kayıtları“. CD 1 №26.
2. ლაზური საცეკვაო გუდაზე. ასრულებს აპმეთ ჩაქირი. ბიროლ თოფალოლუს კასეტიდან „ლაზებური“. 1 კასეტა B №2.
3. ჰემშინური „ჰორონი“ გუდაზე. უკრავს მუსტაფა დელიბაში. ფირფიტა გამოცემულია 1970 წელს უცნობი ფირმის მიერ. ჩანერის ადგილი უცნობია.
4. სომხური ინსტრუმენტული ჰანგი „ვარკაბზუკზე“. ასრულებს სოლომონ ბალდასარიანი. 1938 წლის ფირფიტა. გამოცემულია 1938 წელს აპრელევვას ქარხნის მიერ. ჩანერის ადგილი უცნობია.
5. ლაზური საცეკვაო „ქიზმენდილ დანს“ გუდაზე. უკრავს სევდეთ თოფალოლუ. ჩანერილია 1968 წელს სტამბულში პიტერ გოლდის მიერ (Gold, 1972).
6. აჭარული „განდაგანა“ ჭიბონზე. ჩანერილია 1952 წელს თამარ მამალაძის მიერ. ფირი 61 №8-7. თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტი.
7. აჭარული „აპადელა“ ჭიბონის თანხლებით. ჩანერილია 1952 წელს თამარ მამალაძის მიერ. ფირი 61 №9. თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტი.
8. რაჭული „მესტვირული“ გუდასტვირის თანხლებით. ასრულებს ზაქარია ერაძე. ჩანერილია საქართველოს რადიოს მიერ 1940-50-იან წლებში.
9. ქართლური „ბერიკული საჭიდაო“ გუდასტვირზე. ასრულებს ლუარსაბ ჯიქური. ჩანერილია მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში 1964 წელს კახი როსებაშვილის მიერ. ფირი 161 №6. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორია.

10. ლაზური, მეგრული, სვანური, ქართლური, ხევსურული და კახური სიმღერა-დასაკრავების საკადანსო ფორმების შედარება.
 11. ლაზურ-ქართლურ-მოხეური სიმღერების მელოდიების შედარება.
 12. ფარული მრავალხმიანობა ლაზურ სიმღერაში.
 13. ფარული მრავალხმიანობა პონტოს ბერძნულ სიმღერაში.
 14. ფარული მრავალხმიანობა ჰემშინურ სიმღერაში.
 15. ფარული მრავალხმიანობა ლაზურ სიმღერაში.
 16. ფარული მრავალხმიანობა პონტოს ბერძნულ სიმღერაში.
 17. ფარული მრავალხმიანობა ლაზურ სიმღერაში.
 18. ფარული მრავალხმიანობა ჰემშინურ სიმღერაში.
 19. საშა და იაშა ხორავების ლაზური საესტრადო სიმღერა „ქაქალაკი“. ასრულებს ანსამბლი „ლაზეთი“. ჩანერილია 1977 წელს ელგუჯა აბდულიშვილის მიერ. პირადი არქივიდან.
 20. საშა და იაშა ხორავების ლაზური საესტრადო სიმღერა „ქაქალაკი“. ასრულებს ანსამბლი „ლაზეთი“. ჩანერილია 1977 წელს ელგუჯა აბდულიშვილის მიერ. პირადი არქივიდან.
 21. საშა და იაშა ხორავების ლაზური საესტრადო სიმღერა „სარფი ფილფილ ფუქირა“. ასრულებს ანსამბლი „ლაზეთი“. სოლისტი ასიკო ხორავა. ჩანერილია 1977 წელს ასიკო ხორავას მიერ. პირადი არქივიდან.
- ვიდეომაგალითები**
1. პონტოს ბერძნული დასაკრავი ცაპოუნაზე. ასრულებს ალექს პაპადაკისი <https://www.youtube.com/watch?v=WlevXdE0hgg>
 2. ლაზური საცეკვაო გუდაზე. ასრულებს ათიჩ გენჯოლლუ. ჩანერილია არჭავის რაიონის სოფელ კორდელში 2014 წელს გიორგი კრავეიშვილისა და ნაზი მემიშიშვილის მიერ. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.
 3. საცეკვაო ბერძნულ გაიდასა და დარბუეაზე. ასრულებენ გიანის დობრიდისი და პანოს ზიქიდისი <https://www.youtube.com/watch?v=6Epii3e8XcQ&t=2s>
 4. დასაკრავი ფრანგულ კორნემუსზე <https://www.youtube.com/watch?v=jc2XpFXrFM8&t=5s>
 5. ჰემშინური „ჰორონი“ გუდაზე. ასრულებს სელიმ ბოლუქებაში https://www.youtube.com/watch?v=tf_d9KAGKmk&t=4s

6. სომხური დასაკრავი პარკაპზუკსა და დოლზე. წარკაპზუკზე დამკერელი ვლადიმირ სუმბათიანი <https://www.youtube.com/watch?v=yMVXs38bcQw&t=105s>
7. ჰემშინური ხორონი გადაღებული რამაზან ქოსანოღლუს მიერ https://www.youtube.com/watch?v=S_mMWU1wAU&t=166s
8. აჭარული საცეკვაოები ჭიბონზე. ასრულებს გოჩა ირემაძე. აჭარის ტელევიზიის გადაცემა „ეთნოფორმი“. ქედის რაიონის სოფელი დანდალო. 2019 წელი https://www.youtube.com/watch?v=QWi309M_vW8&t=460s
9. რაჭული მესტვირული შალვა ჯაფარიძის სახელობის ანსამბლ „რაჭასთან ერთად“. გუდასტვირზე უკრავს ბაჟურ ჩიკვილაძე <https://www.youtube.com/watch?v=bFzpptkCD8U>
10. ლაზური სიმღერა „ამსერი მეჯი მიღუ“ ქამანჩის თანხლებით. ასრულებს მეჰმედ აითაჩ. ჩაწერილია არდაშენის რაიონის სოფელ ლერაში. 2014 წელს გიორგი კრავეიშვილისა და ნაზი მემიშიშის მიერ. ვიდეო გადაიღო თამაზ კრავეიშვილმა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბანაში, წათე. (1988). ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში. თბილისი: მეცნიერება.

ბანაში, წათე. (2015a). „ლაზთა ეთნოგენეზისისა და ისტორიისათვის“. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. გვ. 27-51, რედაქტორი მ. ჩუხუა. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბანაში, წათე. (2015a). „ლაზეთში მცხოვრები ჰემშინები“. წიგნში: ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში. გვ. 55-75. რედაქტორი მ. ჩუხუა. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კრავეიშვილი, გიორგი. (2020). საქართველოს მოწყვეტილი კუთხეების და XVII-XIX საუკუნეებში გადასახლებულ ქართველთა ხალხური მუსიკის შესწავლის პრობლემები. თბილისი: აკადემიური წიგნი.

როსებაშვილი, კახი. (1981). ქართული ხალხური სიმღერები. თბილისი: მუსფონდი.

ფარცხალაძე, ალი. (შემდგ.). (1936). აჭარის ხალხური ცეკვები და სიმღერები. ბათომი: აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა.

ჩოხარაძე, მალხაზ. (2015). ხანძთა და ათორმეტ სავანეთა მხარის ძველი სალოცავები. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯავახიშვილი, ივანე. (1983). თხზულებანი 12 ტომად. ტ. II. თბილისი: მეცნიერება. https://en.wikipedia.org/wiki/Empire_of_Trebizond